კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

Scientia
Scholarly Journal
სამეცნიერო ჟურნალი

#2

SCIENTIA POTENTIA EST | ცოდნა ძალაა

www.scientia.ge

თბილისი | TBILISI

2021

მთავარი რედაქტორი

მანუჩარ გუნცაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სარედაქციო საბჭო

ხათუნა ბაინდურაშვილი | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

მარტინა ბიტუნიაკი | პოტსდამის უნივერსიტეტი

თამაზ გოგოლაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ზურაბ თარგამაძე | ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი

რადოსლავ კანარკოვსკი | კრაკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ვლადიმერ კეკელია | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ლევან კოჭლამაზაშვილი | არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მარია ლიდოვა | ოქსფორდის უნივერსიტეტი

იორდან ლუცკიანოვი | ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია

ჰიროტაკე მაედა | ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი

შოთა მათითაშვილი | ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

გორ მარგარიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დავით ნასყიდაშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ნინიძე | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტეფანო პელაჯი | რომის საპიენცას უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ჟღენტი | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ნესიმი რზაიევი | ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ედუარდო სანჩესი | ვალადოლიდის უნივერსიტეტი

სოფიო ქადაგიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მიხეილ ქართველიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მატია კირიატი | ბარსელონას უნივერსიტეტი

გურამ ჩხატარაშვილი | ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი

ზაზა ცინაძე | წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი

EDITOR-IN-CHIEF

MANUCHAR GUNTSADZE | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

EDITORIAL BOARD

KHATUNA BAINDURASHVILI | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

MARTINA BITUNJAC | UNIVERSITY OF POTSDAM

TAMAZ GOGOLADZE | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ZURAB TARGAMADZE | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

RADOSLAW KANARKOWSKI | KRAKOW INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

VLADIMER KEKELIA | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

LEVAN KOCHLAMAZASHVILI | ARNOLD CHIKOBAVA LINGUISTICS INSTITUTE

MARIA LIDOVA | UNIVERSITY OF OXFORD

YORDAN LUTSKIANOV | BULGARIAN ACADEMY OF SCIENCES

HIROTAKE MAEDA | TOKYO METROPOLITAN UNIVERSITY

SHOTA MATITASHVILI | CENTRAL EUROPEAN UNIVERSITY

GOR MARGARIAN | ARMENIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

DAVIT NASKIDASHVILI | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

TAMAR NINIDZE | AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

STEFANO PELAGGI | SAPIENZA UNIVERSITY OF ROME

NIKOLOZ ZHGENTI | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

NESIMI RZAYEV | BAKU STATE UNIVERSITY

EDUARDO SANCHEZ | UNIVERSITY OF VALLADOLID

SOPHIO KADAGISHVILI | IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

MIKHEIL KARTVELISHVILI | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

MATIA CHIRIATTI | UNIVERSITY OF BARCELONA

GURAM CHKHATARASHVILI | BATUMI ARCHAEOLOGICAL MUSEUM

ZAZA TSINADZE | ST. ANDRIA GEORGIAN UNIVERSITY

UDC (უაკ) 93/94:902/904:39:8
(051)
S-40

ISSN 2667-9590

e-ISSN 2667-9604

© Scholarly Journal Scientia | სამეცნიერო ჟურნალი Scientia

ნათია ხიზანიშვილი
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი,
საქართველო
natia.khizanishvili@manuscript.ge

ანჩელი ეპისკოპოსების – ცქირის და ეზრას მოღვაწეობის თარიღისათვის

ანჩა კლარჯეთის მხარეს მნიშვნელოვანი სასულიერო და კულტურული ცენტრი იყო. ანჩელი ეპისკოპოსები აქტიურად იყვნენ ჩართულები ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურულ ცხოვრებაში. ისტორიული წყაროებიდან დღეისათვის ცნობილია 14 ანჩელი ეპისკოპოსი. ამჯერად ჩვენ ინტერესს ანჩის საეპისკოპოსოს ორი მღვდელმთავრის მოღვაწეობის პერიოდის გარკვევა წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ანჩა, ეზრა, ცქირი, აშოტ კურაპალატი, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი

ანჩა ტაო-კლარჯეთის რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეპისკოპოსო ცენტრი იყო. ანჩის საკათედრო ეკლესია მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის მხარეში, არტანუჯის რაიონის სოფელ ანჩაში (Artvin İli, Ardanuç İlçe, İncilli köyü), სოფლის ჩრდილო დასავლეთით, მისგან 600 მ-ზე, მდ. სამწყარის მარცხენა მხარეს (ტაო-კლარჯეთის კატალოგი 2017, 128).

ანჩის საეპისკოპოსოს შესახებ პირველ ცნობებს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ვიგებთ. თხზულებაში ვკითხულობთ, რომ კლარჯეთში სამონასტრო მშენებლობამდე ანჩის საყდარს მრავალწლიანი ისტორია ჰქონდა და ბევრი სასწაულთმოქმედი ეპისკოპოსი ჰყავდა: „დაღაცათუ ფრიად ურიცხუნი ჟამნი ჰქონან საყდარსა მას ანჩისასა უწინარეს აღშენებისანი და ეპისკოპოსნიცა მრავალნი კეთილად სასწაულთა მოქმედნი ყოფილ არიან“ (მერჩულე 1963, 303).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის ამ ფრაგმენტის მიხედვით, მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანჩის ეპარქია დაარსდა VI-VII სს-ში. ამ თარიღს იზიარებდნენ პავლე ინგოროყვა (ინგოროყვა 1954, 377-378), ლევან მენაბდე (მენაბდე 1962, 436), ვახტანგ ჯობაძე (ჯობაძე 2007, 70), ვალერი სილოგავა (სილოგავა და შენგელია 2006, 46).

ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა არტანუჯის მხარე, კლარჯეთის მონასტრების ტერიტორია, ლიგანის ხევის გაღმა-გამოღმა ადგილები გონიომდე და მდ. ფორჩისხევის ხეობა. XVI საუკუნის დასაწყისში შედგენილ ისტორიულ დოკუმენტში – „კათალიკოზის ხელქვეშეთი მღვდელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში“, ანჩის ეპარქიის საზღვრები ასეა მოცემული: „სამწყალ აქეთი ხანძთას და ოპიზას შუა დახატულა. იმას ქვემოთ ნიგალი-ხევი გაღმა და გამოღმართი, გონიოს სამღვრამდი“. ამ დოკუმენტის მიხედვით, ანჩელი პატივით მეოთხე ადგილზეა სამცხე-საათაბაგოს 13 მღვდელმთავარს შორის, მაწყვერელის, კუმურდოელის და იშხნელის შემდეგ (დოლიძე 1970, 245).

„ჴელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვითაც მაღალია ანჩელის პატივი. დოკუმენტში, სამართლის ძეგლში აღნიშნულია, რომ სამეფო კარზე დარბაზობის დროს, „სწორად ეპისკოპოზნი მოვიდენ იმიერით – იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი და გოლგოთელი, – მათ, რა ეთაყვანენ ჴელნი მეფემან ნოხთა ზედა დასხნეს“. აქ ანჩელი მესხეთიდან მოწვეულ ხუთ მღვდელმთავარს შორის მესამე ადგილზეა დასახელებული (თაყაიშვილი 1920, 14).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტმა ანჩის ხუთი ეპისკოპოსის შესახებ შემოგვინახა ცნობები: ცქირის, ზაქარიას, მაკარის, ეზრას და კიდევ ერთი ანჩელი ეპისკოპოსის შესახებ, რომლის სახელსაც გიორგი მერჩულე არ მოიხსენიებს. სტატიაში ვეცდებით გავარკვიოთ ცქირისა და ეზრა ანჩელის მოღვაწეობის თარიღები.

ცქირი

გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ აშოტ კურაპალატის რეზიდენციაში, არტანუჯში, დიპლომატიური მისიით ჩასულ დიაკონ ცქირს, ანჩის საეპისკოპოსო კათედრა, ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო, თავისუფალი დახვდა. ეს რომ იხილა, „საჰაკ ამირას მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან“, წერს გიორგი მერჩულე. მართლაც, მან „მძლავრებით დაიპყრო ანჩი“ და იმდენი უკეთური საქმე ჩაიდინა (შესძინა ძჳრი ძჳრსა მისსა ზედა მრავალი), რომ მათი მოჴსენებაᲲ ამას წიგნსა შინა არა ჯერ-არს შთაწერად ყოველი“, განაგრძობს ავტორი.

ცქირმა ბევრი სიბოროტე შეამთხვია გრიგოლს და იმ დროის სხვა წმინდა მამებს, რომელთაგანაც მუდამ სამართლიანად იყო მხილებული. მათ ერთად მიმართეს აშოტ კურაპალატს და მისი ბრძა-

ნებით, წერილი გაუგზავნეს ქართლის კათალიკოს, „და მის მიერ ეპისკოპოსნი ღირსნი მოიწინეს ანჩს და მათ თანა შემოკრბეს ყოველნი იგი მეუდაბნოენი მამანი“. კრებამ იგი განკვეთა საეპისკოპოსო პატივისაგან, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი ცქირის დასამხობად. ეპისკოპოსობისაგან განკვეთილი ცქირი „ტფილისს წარვიდა საჰაკ ამირასა, პატრონისა თჳსისავე“. აშოტ კურაპალატი მოერიდა თბილისის ამირას განაწყენებას და ცქირმაც „კუალად მძლავრებით დაიპყრო ანჩის საყდარი“. ამჟამად მისი მიზანი იყო, „რაჲთამცა შურ იგო მამისა გრიგოლის ზედა“.

ცქირმა ანჩის „ერი“ შეკრიბა და ხანძთის დასარბევად გააგზავნა. გრიგოლ ხანძთელმა ცოტა დრო ითხოვა ლოცვისათვის. მათი ცრემლიანი ვედრება ღმერთმა შეისმინა და ანგელოზის მიერ ეუწყათ, რომ მოვიდოდა „ქადაგი“, რომელიც ცქირის სიკვდილის ამბავს აცნობებდა, „დაღაცათუ ორ დღე ცოცხალ ამისათჳს არს, რაჲთა ვერ ღირს იქმნეს დამარხვად საყდარსა საეპიკოპოსოსა, და ყოველთა ჰრწმენეს განკუეთაჲ მისი, ხოლო გული მისი აწვე მომუკვდარ არს“. მას შემდეგ, რაც ხალხი გააგზავნა ხანძთის დასარბევად, ცქირი ქორთაში წავიდა, სადაც გარდაიცვალა და დამარხეს (მერჩულე 1963, 305-307).

ვალერი სილოგავასა და ანრი ბოგვერაძის მოსაზრებით, ცქირი ანჩის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო IX ს-ის 40-იან წლებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცქირი ამირა საჰაკისა და აშოტ კურაპალატის თანამედროვეა, ეს ფაქტი მკვლევართა ნაწილისთვის შეუსაბამოა.

ამ გარემოებას ყურადღება პირველად ივანე ჯავახიშვილმა მიაქცია და აღნიშნა, რომ შეცდომა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში იყო, გიორგი მერჩულეს ან თბილისის ამირას სახელი შეეშალა, ან კურაპალატის (ჯავახიშვილი 1945, 123).

კორნელი კეკელიძემ ეს ფაქტი აშოტის გარდაცვალების თარიღის შეცვლით ახსნა. მან გაიზიარა მოსაზრება, რომ ამირა საჰაკი თბილისის ამირად დაინიშნა 830 წელს:

> „ამრიგად გამოდის, რომ 830 წელზე ადრე, როდესაც საჰაკი ტფილისის ამირა ხდება, აშოტის სიკვდილი საგულვებელი არაა... ყველა მოსაზრებათა გამო შეიძლება ითქვას, რომ სუმბატის ქრონიკის მვ-ში წარყვნილი და შეცვლილია ათეულის მაჩვენებელი ასო, მ-ს მაგიერ იქ საფიქრებელია ნ, ასე რომ, აშოტის გარდაცვალების წლად უნდა მიჩნეულ იქნეს არა მვ ქორონიკონი, არამედ ნვ, ე.ი. 836 წელი“ (კეკელიძე 1935, 103).

სიმონ ჯანაშიამ ცქირის ისტორია IX ს-ის 20-იანი წლებით დაათარიღა: „ეს ამბავი... მომხდარა IX ს-ის 20-იან წლებში, როდესაც არა-

ბები ქართლში უკვე საკმაოდ დასუსტებული იყვნენ“ (ჯანაშია 1936, 67).

თამარ ლომოურმა ყურადღება მიაქცია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთ ცნობას: „ხოლო უწესოებაჲ მისი მრავალგზის ემხილა წმიდათა მათ პირველთა კლარჯეთისა მეუდაბნოეთაგან მამათა და ყოველთა მათგან სამწყსოთა კათოლიკე ეკლესიისათა, უფროჲს ხოლო მამისა გრიგოლისგან, რამეთუ არქიმანდრიტი იყო იგი დიდებულთა მათ უდაბნოთაჲ” (მერჩულე 1963, 305). როგორც ცნობილია, გრიგოლმა არქიმანდრიტობა აშოტის მემკვიდრეების დროს მიიღო. აქედან გამომდინარე, თ. ლომოური ვარაუდობდა, რომ ცქირის მიერ ანჩის საყდრის დაპყრობა მოხდა არა აშოტის, არამედ ბაგრატ კურაპალატის მმართველობის პერიოდში. მკვლევარმა თხზულებაში ისტორიულ პირთა სახელების არევა ახსნა იმით, რომ გადამწერს ან იმ პირს, რომელმაც გიორგი მერჩულეს ეს ამბავი მოუთხრო, მცდარი ინფორმაცია ჰქონდა (ლომოური 1925, 55-56).

თამარ ლომოურის ამ მოსაზრებას იზიარებს ანრი ბოგვერაძე. მან ცქირის ისტორიაში ყველა ის ადგილი, სადაც იხსენიება აშოტ კურაპალატი, ბაგრატ კურაპალატით ჩაანაცვლა: „ამირა-კურაპალატის ეს კავშირი ბაგრატისთვის თავზე მოხვეულია... ცქირის მისვლა-მოსვლაში ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი გარდაიცვალა. პატივმოყვარე დიაკონმა „საჰაკ ამირასა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი ბაგრატ კურაპალატისაგან“. აქედან გამომდინარე, ანრი ბოგვერაძის ვარაუდობს, რომ ცქირი ანჩელი ეპისკოპოსი IX ს-ის 40-იან წლებში იყო (ბოგვერაძე 1970, 136).

ცქირი აშოტ კურაპალატის მმართველობის პერიოდში უნდა ყოფილიყო ანჩის ეპისკოპოსი. პირველ საკითხს, რომელსაც შევეხებით, საჰაკის ამირობის ქრონოლოგიაა. საჰაკის ამირობის ყველაზე ადრინდელი თარიღი იაკუბის ისტორიაში იყო დაცული. იაკუბის მიხედვით, 214/829-30 წ. ხალიფა ალ-მამუნის მიერ არმენიის ვალიდ დანიშნული ჰასან იბნ ალი ალ-ბაზაღისი ხარკს სთხოვს თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმაილ ათ-თაფლისის, რომელიც ეურჩება მას და ხარკს თვითონ ითვისებს. უკვე 829-830 წელს საჰაკი უკვე აღარ ემორჩილება ხალიფას და ხარკს საამიროში კი არ აგზავნის, არამედ თავისთვის იტოვებს. იაკუბის ამ ცნობიდან ჩანს, რომ საჰაკი თბილისის ამირად ჩანს 829 წელიდან (სიხარულიძე 1976, 139-142).

XVII ს. ავტორის მუნეჯიმ-ბაშის თხზულებაში დაცულია ერთი ნაწყვეტი არაბული ქრონიკიდან, რომელიც IX საუკუნის ავტორს[1] ეკუთ-

1 აღნიშნული ქრონიკის ავტორი უნდა იყოს შაიხ აბუ აბდ ალაჰ მამუს იბნ ალ-ჰასან იბნ მუჰამად ალ ლაქზი ად დარბანდი (გარდ. 504/1110 წ.). ამ ავტორის იდენტიფიკაცია დაღესტნელ ისტორიკოს ა. ალიკბეროვს ეკუთვნის. არაბული წყაროს მიხედვით, გოჩა ჯაფარიძე საჰაკის პირველ გაამირებას 818 წელს ვარაუდობს, ხოლო როდის

ვნის, ამ ქრონიკის მკვლევარი და გამომცემელი ვლ. მინორსკი ამ ნაწყვეტის ავტორს პირობითად „თარიხ ბაბ ალ-აბვაბს“ უწოდებს. ამ წყაროს მიხედვით, საჰაკი თბილისის ამირად უნდა დაენიშნათ უფრო ადრე, ვიდრე 829-830 წლისა. „ისჰაკ იბნ ისმაილ იბნ შუაყაიბის (საჰაკის) ურჩობა (არ ემორჩილებოდა არაბთა ხალიფას) გრძელდებოდა მის სიკვდილამდე 35 წელი და დაკარგეს სამეფო მისმა შვილებმა მისი ურჩობის გამო“. ეთერ სიხარულიძე წერს:

> „ჩვენთვის კარგადაა ცნობილი საჰაკის მოკვლის თარიღი – 853 წელი, და თუ მისი ურჩობის წელი 35 წელი გრძელდებოდა – მაშინ იგი თბილისის ამირად უნდა დაენიშნათ არა უგვიანეს 817 წლისა. დაახლოებით ამ დროიდანვე უნდა დაწყებულიყო მისი მცდელობაც დამოუკიდებლობისათვის. ამის მიხედვით ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს აშოტ კურაპალატისა და საჰაკის ურთიერთობის ფაქტი. ქართულ ისტორიოგრაფიაში საეჭვოდაა მიჩნეული საჰაკისა და აშოტ კურაპალატის ურთიერთობა, რადგანაც მიღებული თარიღები აშოტის გარდაცვალებისა 826 წელი და საჰაკის დანიშვნის ამირად – 831 ან 842 წელი – არ შეესაბამება ერთმანეთს“ (სიხარულიძე, 1976, 139-142).

როდის დაკარგა ამირა საჰაკმა ძალაუფლება, უცნობია. გოჩა ჯაფარიძე ვარაუდობს, რომ ხელახლა საჰაკი ამირა 832 წელს უნდა გამხდარიყო (ჯაფარიძე 2014, 18).

ვფიქრობთ, სუმბატ დავითის ძის ცნობა აშოტ კურაპალატის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით გადასინჯვას არ საჭიროებს, რადგან ამ წყაროს ცნობების სანდოობა სხვადასხვა წყაროებითაც დასტურდება. მაგალითად, ბაგრატიონთა მემატიანის მიხედვით, აშოტ II, იგივე აშოტ IV კურაპალატი, გარდაიცვალა 954 წელს. აშოტ II-ის გარდაცვალების თარიღის უტყუარობას ამტკიცებს 2017 წელს საქართველოს კულტურისა და ტურისტული კვლევის ცენტრის მიერ ისტორიულ ტაოში, თურქეთის რესპუბლიკის, ერზრუმის ილის შენქაიას ილჩეს სოფელ მერედისში მიკვლეული ასომთავრული წარწერა. წარწერაში აშოტის IV კურაპალატის გარდაცვალების დღე და რიცხვიცაა აღნიშნული (ჯოჯუა 2018, 103-104).

აშოტ კურაპალატისა და თბილისის ამირა საჰაკის მოღვაწეობის პერიოდიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ ცქირი ანჩის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო IX ს.-ის 10-იანი წლების ბოლოს.

სოფელ დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის ერთ-ერთ სტელაზე

დაკარგა მან ძალაუფლება, უცნობია. მკვლევარი ასევე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ხელახლა საჰაკი ამირა 832 წელს გახდა (ჯაფარიძე 2014, 17-18).

არის წარწერა, რომელშიც იხსენიება ცქირი. ვალერი სილოგავამ გადმოწერა ეს წარწერა: „მე, ცქირი შემ(ი)წ[ყალე...]“ (სილოგავა 1999, 48). მისი ვარაუდით, დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერაში მოხსენებული ცქირი და ანჩელი ეპისკოპოსი ცქირი ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება ყოფილიყო (სილოგავა და შენგელია 2006, 55).

ეზრა ანჩელი

ეზრა ანჩელის შესახებ გიორგი მერჩულე წერდა:

> „ხოლო უკუანაჲსკნელთა ამათა ჟამთა ჩუენთა გლახაკნი იხარებენ მადლითა უფლისაჲთა, ოხითა საუკუნითგან წმიდათაჲთა და ჴორციელად მოღუაწებითა მეფეთა ჩუენთა დიდებულთაჲთა, რომელნი იყვნეს კეთილად ღმრთისმსახურ, წმიდათა ეკლესიათა აღმაშენებელ, ბარბაროზთა ბანაკსა დამარღუეველ, ჭეშმარიტთა ქრისტეანეთა სიქადულ და მოწესეთა სიხარულ, რომელთა შორის იპოვა ძჱ დიდისა ადარნერსე კურაპალატისაჲ, ბაგრატ ერისთავთაერისთავი, ძალითა ღმრთისაჲთა დიდი ჴელმწიფჱ, ეზრაჲ ზე, ღირსისა ანჩელ მამათ-მთავრისა ეპისკოპოსისა, დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილისა“ (მერჩულე 1963, 307)

ეზრა I ანჩელი, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, დაფანჩულთა საგვარეულოს სახლის წარმომადგენელი იყო. დაფანჩულნი სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალური სახლის წევრები იყვნენ.

ეზრა ანჩელს მოიაზრებენ მიქაელ მოდრეკილის „საწელიწადო იადგარში“ შეტანილი 20 იანვრის, ეფთვიმე პალესტინელის საგალობლის ავტორად (კეკელიძე 1980, 177). იგი იყო ადარნასე კურაპალატის ვაჟის, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის თანამედროვე.

ვალერი სილოგავა ეზრას მამათმთავრობას X ს-ის 30-40-იანი წლებით ათარიღებს, რადგან აღნიშნულ ბაგრატ ერისთავთ-ერისთავში მოიაზრებს ადარნასე II ქართველთა მეფის ძეს. სხვადასხვა წყაროს შესწავლამ განსხვავებული მოსაზრების გამოთქმის საშუალება მოგვცა (სილოგავა და შენგელია 2006, 56).

სუმბატ დავითს ძის ქრონიკაში ორი ადარნასე კურაპალატია მოხსენებული, რომლის ვაჟებსაც ბაგრატი ერქვათ, ადარნასე მეორე ქართველთა მეფე და დავით მესამე კურაპალატის მამა ადარნასე მესამე კურაპალატი (სუმბატ დავითის ძე 2008, 368-369).

ჯერჯერობით არ მოგვეპოვება წყარო, რომელიც ადარნასე II ქართველთა მეფის ძე ბაგრატის ერისთავთ-ერისთავობას დაადასტურებს. ბაგრატი, იშხნის წარწერის მიხედვით, ქართველთა მეფის

ტიტულს ატარებდა 937-945 წლებს შორის (თაყაიშვილი 1960, 22), სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და კონსტანტინე პორფიროგენეტთან კი, იგი მხოლოდ მაგისტროსის ტიტულით მოიხსენიება (სუმბატ დავითის ძე 2008, 368; მერჩულე 1963, 316; ყაუხჩიშვილი 1952, 269, 271). ვახუშტი ბატონიშვილი კი აღნიშნავს, რომ ბაგრატს, მაგისტროსის ტიტულის გარდა, კურაპალატობაც ჰქონდა (ბატონიშვილი 1979, 699).

სუმბატ დავითის ძის მიხედვით, ცნობილია მისი თანამედროვე, გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავი, რომელმაც ეს ტიტული 918 წელს აშოტ კუხის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. ამავე წყაროს მიხედვით, გურგენი გარდაიცვალა 941 წლის 14 თებერვალს (სუმბატ დავითის ძე 2008, 368). ანრი ბოგვერაძის მართებული დასკვნით, გურგენის გარდაცვალების შემდეგ, სავარაუდებელია, რომ ერისთავთ-ერისთავად ადარნასე II-ის ძე, სუმბატი დასვეს. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერისას, ანუ 951 წელს, ერისთავთ-ერისთავობას სუმბატი ფლობდა (მერჩულე 1963, 316). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატიონთა სახლში ერთდროულად ერთი და იგივე პატივი, ქართული თუ უცხოური, სხვადასხვა პირს არასდროს უტარებია, რაც მათი კოლეგიალური მმართველობის ერთ-ერთი მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო (ბოგვერაძე 1993, 22, 32).

ადარნასე III კურაპალატის ვაჟის, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის მოღვაწეობის პერიოდიდან გამომდინარე, ეზრას მღვდელმთავრობა ანჩის ეპარქიაში X ს-ის 60-იანი წლებით შეიძლება დავათარიღოთ.

დამოწმებანი

ბატონიშვილი 1973: ვ. ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა) ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბილისი „საბჭოთა საქართველო“, 1973

ბოგვერაძე 1970: ა. ბოგვერაძე. ერთი ქრონოლოგიური საყრდენი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა (აშოტ I დიდი კურაპალატის სიკვდილის თარიღის შესახებ), კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წგნ. 1, თბილისი.

ბოგვერაძე 1993: ა. ბოგვერაძე, ტაო-კლარჯეთის მფლობელი ზოგიერთი ბაგრატიონის პატივის გარკვევისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), თბილისი, 1993, N3-4.

დოლიძე 1970: ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III: საეკლესიო

საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), თბილისი, „მეცნიერება“.

თაყაიშვილი 1920: ექ. თაყაიშვილი. ხელმწიფის კარის გარიგება. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემ. ტფილისი.

თაყაიშვილი 1960: ექ. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ინგოროყვა 1954: პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბილისი, „საბჭოთა მწერალი“.

კეკელიძე 1935: კ.კეკელიძე. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბილისი.

კეკელიძე 1980: კ კეკელიძე. ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. I, „მეცნიერება“.

ლომოური 1925: თ. ლომოური. სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულეს ცნობები მე-IX-X სს. ქართველთა ბაგრატონიანთა შესახებ, არალი.

მენაბდე 1962: ლ. მენაბდე ძვ. მწერლობის კერები საქართველოში ტ.I, ნაკვ. 2, თბილისი.

მერჩულე 1963: გ. მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდის აღმშენებლისაჲ, და მის თანა ჴსენება მრავალთა მამათა ნეტართაჲ, ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები ტ. I, თბილისი, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

სილოგავა 1999: ვ. სილოგავა. წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (XI-XIII), თბილისი, „ინტელექტი“.

სილოგავა და შენგელია 2006: ვ. სილოგავა და კ. შენგელია. ტაო-კლარჯეთი, თბილისი, „კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

სიხარულიძე 1976: ე. სიხარულიძე. ერთი ცნობა თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმაილის შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 180.

სუმბატ დავითის-ძე 2008: სუმბატ დავითის-ძე. „ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ“, ქართლის ცხოვრება, თბილისი, „არტანუჯი“.

ტაო-კლარჯეთის კატალოგი 2017: ტაო-კლარჯეთის – ისტორიისა და კულტურის ძეგლების კატალოგი, რედაქტორი ბ. კუდავა, თბილისი.

ჯანაშია 1936: ს. ჯანაშია. არაბობა საქართველოში, თბილისი, დაუსწრებელი პედინსტიტუტი გამომცემლობა.

ყაუხჩიშვილი 1952: ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი IV, ნაწილი II, თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა.

ჯავახიშვილი 1945: ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945

ჯაფარიძე 2014: გ. ჯაფარიძე. თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმა›ილ ალ-უმავი ათ-თიფლისი შუა საუკუნეების აღმოსავლურ წერილობით წყაროებსა და ისლამურ მხატვრობაში, საისტორიო კრებული, ტ. 4. თბილისი.

ჯობაძე 2007: ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2007.

ჯოჯუა 2018: თ. ჯოჯუა. ტაო-კლარჯეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები: მერენესის ეკლესიის 954 წლის წარწერა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“, თეზისები.

NATIA KHIZANISHVILI
Korneli Kekelidze Georgian National
Center of Manuscripts,
Georgia
natia.khizanishvili@manuscript.ge

FOR THE FLORUIT OF TSKIR AND EZRA, BISHOPS OF ANCHA

Ancha was a theological and cultural centre in Klarjeti. Bishops of Ancha actively participated in the political and cultural life of Georgia. According to historical sources, there are fourteen prominent bishops. The purpose of this study is to determine the floruit of two bishops from the episcopacy of Ancha.

KEYWORDS: Ancha, Ezra, Tskir, Ashot Kourapalates, Prince of Princes Bagrat.

Ancha was one of the most important episcopal centres in Tao-Klarjeti region. The Ancha Cathedral is located in historical Klarjeti, Artvini region, village Ancha in Artanuji district (Artvin İli, Ardanuç İlçe, İncilli köyü), to the north-west of the village, in 600m from the village, on the left side of the Samtskari river (Tao-Klarjeti Catalogue 2017, 128).

We infer firstly about the Ancha episcopacy from the *Vita of Grigol of Khandzta*. We read in the writing that the Ancha Church had a long history and many miraculous bishops: „დაღაცათუ ფრიად ურიცხუნი ჟამნი ჰქონან საყდარსა მას ანჩისასა უწინარეს აღშენებისანი და ეპისკოპოსნიცა მრავალნი კეთილად სასწაულთა მოქმედნი ყოფილ არიან“ (Merchule 1963, 303). According to this passage of the *Vita of Grigol Khandzteli*, scientists claim that the Ancha eparchy was founded during the 6th-7th centuries. This date is shared by Pavle Ingorokva (Ingorokva 1954, 377-378), Levan Menabde (Menabde 1962, 436), Vakhtang Jobadze (Jobadze 2007, 70), and Valeri Silogava (Silogava and Shengelia 2006, 46).

The eparchy consisted of Artanuji district, the territory with the Klarjeti monasteries, the Ligani ravine with both sides up to Gonio and the valley of the Phorchiskhevi river. In the historical documents composed during the 16th century the boundaries of the Ancha eparchy is described as the following: “the place is between Khandzta and Opiza. Nagali ravine is beyond this place and it reaches Gonio border”. According to the document, Ancha bishops are in the 4th place in rank after Matskveri, Kumurdo and

Ishkhani among 13 archbishops of Samtskhe-Saatabago (Dolidze 1970, 245).

According to the *Regulations of the Royal Court*, Ancha bishop has a high rank. The document states that during the receptions at the court the bishops of Ishkhani, Martskveri, Ancha, Tbeti and Golgotha rendered homage to the King and they took their seats, „მათ, რა ეთაყვანენ ჴელნი მეფემან ნოხთა ზედა დასხნეს“. Ancha bishop is mentioned in the 3rd place among other 5 invited bishops (Takaishvili 1920, 14).

The Vita has preserved some information about five bishops of Ancha – Tskir, Zaharia, Makar, Ezra and one more bishop whom Giorgi Merchule does not name. In this paper, I will endeavour to determine the floruit of Ezra and Tskir.

TSKIr

Giorgi Merchule tells us that deacon Tskir when visiting Artanuji for a diplomatic mission, the royal residence of Ashot Kourapaletes, found out that the bishop's post was free due to the bishop's death. After that, Tskir demanded from Ashot the Ancha Cathedral with the help of Emir Sahaq. Tskir conquered Ancha and committed many crimes. Merchule points out: „მძლავრებით დაიპყრო ანჩი... შესძინა ძჳრი ძჳრსა მისსა ზედა მრავალი... მოჴსენებაჲ ამას წიგნსა შინა არა ჯერ-არს შთაწერად ყოველი“ - concludes the author.

Tskir's behaviour was condemned by Grigol and other saint fathers lawfully criticizing him all the time. They jointly addressed Ashot Kourapalates and under his order sent a letter to the catholicos of Kartli. The fathers called a meeting and invited all hermits. The council put Tskir under an interdict.

However, it was not enough to topple Tskir. Excommunicated Tskir went to his patron Emir Sahaq. Ashot avoided to provoke Sahaq and Tskir again seized the Ancha Church. Now his aim was to take vengeance on Father Grigol.

Tskir gathered people from Ancha and sent to despoil Khandzta. Grigol Khandzteli ask for some time to give a prayer. God heard his entreaty and plea for help. An angel told them that a "preacher" would come and let them know about Tskir's death, „დაღაცათუ ორ დღე ცოცხალ ამისათჳს არს, რაჲთა ვერ ღირს იქმნეს დამარხვად საყდარსა საეპიკოპოსოსა, და ყოველთა ჰრწმენეს განკუეთაჲ მისი, ხოლო გული მისი აწვე მომუკვდარ არს“. When Tskir sent his people to Kandzta, he himself went to Korta. Tskir passed away in Korta and he was buried there (Merchule 1963, 305-307).

To Valeri Sologava and Anri Bogveradze, Tskir must have been the bishop of Ancha during the 840s CE. As mentioned above, Tskir was Emir Sa-

haq's and Ashot Kourapalates' contemporary. Nevertheless, to one part of researchers this fact is irrelevant. Ivane Javakhishvili was the first who paid attention to this circumstance pointing out that there was a mistake made in the *Vita of Grigol Khandzteli*, the author either erred in the name of Tbilisi Emir or the name of Kourapalates (Javakhishvili 1945, 123).

Korneli Kekelidze explained this fact by changing the date of Ashot's death. He concurred with the view which was asserting that Emri Sahaq was appointed as the Emir of Tbilisi in 830 CE:

> "Thus, before 830 CE, when Sahaq becomes the Emir of Tbilisi, Ashot's death is not assumed... Due to all viewpoints, we should say that in Sumbat's chronicle a letter denoting ten years is damaged and replaced in მვ. Here ნ instead of მ can be assumed. Therefore, ნვ rather than მვ in "koronikon" (a Christian 532-year cycle) must be the date of Ashot's death, i.e. 836 CE" (Kekelidze 1935, 103).

Simon Janashia dated the story of Tskir to the 820s CE. He points out: "This event took place during the 820s when Arabs were already weekened in Kartli (Janashia 1936, 67).

Tamar Lomouri emphasized one fact from the *Vita of Grigol Khandzteli:* „ხოლო უწესოებაჲ მისი მრავალგზის ემხილა წმიდათა მათ პირველთა კლარჯეთისა მეუდაბნოეთაგან მამათა და ყოველთა მათგან სამწყსოთა კათოლიკე ეკლესიისათა, უფროჲს ხოლო მამისა გრიგოლისგან, რამეთუ არქიმანდრიტი იყო იგი დიდებულთა მათ უდაბნოთაჲ" (Merchule 1963, 305). As is known, Grigol received the rank of archimandrite during the time of Ashot's heirs. Correspondingly, Lomouri supposed that Tskir conquered the Ancha Church during the reign of Bagrat Kourapalates rather than that of Ashot. The researcher explained the fact of confusing the name of historical figures in the chronicle by means of the statement that a copyist or a person who informed Giorgi Mechule about this story provided false information (Lomouri 1925, 55-56).

Tamar Lomouri's view was shared by Anri Bogveradze. He substituted each part naming Ashot Kourapalates by Bagrat Kourapalates: "this relationship between Emir and Kourapalates is imposed upon Bagrat... Bishop Zakaria died during Tskir's journey. The ambitious deacon demanded from Bagrat the Ancha Cathedral with the help of Emir Sahaq". Hence, Anri Bogveradze assumes that Tskir was the bishop of Ancha during the 840s CE (Bogveradze 1970, 136).

Tskir must have been the bishop of Ancha during the reign of Ashot Kourapalates. First of all, I touch upon the chronology of Emir Sahaq. In 214/829-830 CE, Emir Sahaq's earliest date was given in the history written by Yaqub. According to Yaqub, caliph Al-Mamuni's trustee Hasan ibn Ali

al-Bazagisi appointed in Armenia demands from Ishaq ibn Ismail at-Taflisi to pay tribute who disobeys the trustee and misappropriates the tribute. Already during 829-830, Sahaq disoebeys the caliph, sends no tribute to the Emirate and keeps it. It is evident that Sahaq is the Emir of Tbilisi from 829 CE (Sikharulidze 1976, 139-142).

One passage from an Arabic chronicle that belongs to a 9th century author[1] is preserved in a 17th century piece of work written by Munejim-bashi. V. Minorskii, a researcher and editor of this chronicle, calls the author of the chronicle conventionally "Tarih Bab al-Abwabi". According to the source, Sahaq must have been appointed as Emir of Tbilisi earlier than 829-830 CE. "the defiance (he did not obey the Caliphate) of Ishaq ibn Ismail ibn Shuakaib (Sahak) continued over 35 years up until his death. Due to his disobedience, his sons lost the kingdom". Eter Sikharulidze writes:

> "We know well the date of Sahaq's death – 853 CE. And if his defiance lasted for 35 years, he must have been appointed as Emir of Tbilisi not later than in 817. Approximately from that time he started to strive for independence. Hence, the evidence of relationship between Ashot Kourapalates and Sahaq causes no doubt. In Georgian historiography, Sahaq's and Ashot Kourapalates' link is considered suspicious because the date of Ashot's death 826 CE and the date of Sahaq's appointment in 831or 842 do not correspond to each other" (Sikharulidze, 1976, 139-142).

It is unknown when Emir Sahaq fell from power. Gocha Japaridze assumes that Sahaq was appointed again as Emir in 832 (Japaridze 2014, 18).

I think that the date of Ashot Kourapalates's death given by Sumbat Davitis Dze cannot be reconsidered, as the reliability of the source is proved also by other sources. According to the chronicler, Ashot II, also known as Ashot IV Kourapalates died in 954 CE. The reliability of Ashot's death date is proved by an Asomtavruli inscription revealed in village Meredis, Erzurum, Republic of Turkey, historical Tao, in 2017. The inscription mentions the day and year of Ashot's death (Jojua 2018, 103-104).

Taking into consideration the regnal years of Ashot Kourapalates and Emir Sahaq, we can assume that Tskir was the Ancha bishop in the 810s CE.

An inscription on one of the stelae in St. Mary Church in village Davati

1 The author of the chronicle must be Shaikh Abu Abd Allah Mamus ibn al-Hasan ibn Muhamed al Laqzi ad Darbandi (died in 504/1110). The identification of the author belongs to A. Alikberov, a Dagestani historian. Gocha Japaridze, taking into account the Arabic source, states that Sahaq became Emir first time in 818 CE. However, it is unknown when he lost power. The researcher also points out that Sahaq was appointed again as Emir in 832 (Japaridze 2014, 17-18).

mentions Tskir. Valeri Silogava copied the inscription „მე, ცქირი შემ(ი) წ[ყალე...]“. (Silogava 1999, 48). He assumed that Tskir in the Davati inscription and Bishop Tskir of Ancha are one and the same person (Silogava and Shengelia 2006, 55).

EZRA OF ANCHA

Giorgi Merchule writes about Ezra of Ancha the following:

> „ხოლო უკუანაჲსკნელთა ამათა ჟამთა ჩუენთა გლახაკნი იხარებენ მადლითა უფლისაჲთა, ოხითა საუკუნითგან წმიდათაჲთა და ჴორციელად მოღუაწებითა მეფეთა ჩუენთა დიდებულთაჲთა, რომელნი იყვნეს კეთილად ღმრთისმსახურ, წმიდათა ეკლესიათა აღმაშენებელ, ბარბაროზთა ბანაკსა დამარღუეველ, ჭეშმარიტთა ქრისტეანეთა სიქადულ და მოწესეთა სიხარულ, რომელთა შორის იპოვა ძჱ დიდისა ადარნერსე კურაპალატისაჲ, ბაგრატ ერისთავთაერისთავი, ძალითა ღმრთისაჲთა დიდი ჴელმწიფჱ, ეზრაჲ ზე, ღირსისა ანჩელ მამათ-მთავრისა ეპისკოპოსისა, დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილისა“ (Merchule 1963, 307).

According to the *Vita of Grigol Khandzteli*, Ezra I of Ancha represents the Dapanchuli noble family. The Dapanchuli family was one of the powereful feudal houses in Georgia.

Ezra of Ancha is considered the author of a 20th January chant of Eptvime of Palestine included in the *Iadgari* by Mikael Modrekili (Kekelidze 1980, 177). He was the comtemporary of Adarnase Kourapalates' son Prince of Princes Bagrat.

Valeri Silogava dates Ezra's floruit to the 930s-940s CE because under Price of Princes Bagrat he means Adarnase II, son of the King of the Georgians. Nevertheless, having scrutinized various sources on this issue, I would like to express an different viewpoint (Silogava and Shengelia 2006, 56).

There are two Adarnase Kourapalates who had sons named Bagrat mentioned in the *Chronicle* by Sumbat Davitis Dze: King of the Georgians Adarnase II and Adarnase III Kourapales, father of David III Kourapalates (Sumbat Davitis Dze 2008, 368-369).

So far, we have not found any source that would verify the activity of Price of Prices Bagrat, son of the King of the Georgians Adarnase II. According to Ishkhani inscriptions, Bagrat held the title of King of the Georgians between 937-945 (Takaishvili 1960, 22), whereas he is referred to as only Magistros in the *Chronicle* by Sumbat Davitis Dze, in the *Vita of Grigol*

Khandzteli and by Constantine Porphyrogenitus (Sumbat Davitis Dze 2008, 368; Merchule 1963, 316; Kaukhchishvili 1952, 269, 271). Vakhushti Batonishvili remarks that Bagrat had the title of Kourapalates together with title of Magistros (Batonishvili 1979, 699).

According to Sumbat Davitis Dze, his contemporary Great Prince of Princes Gurgen received this title in 918 CE after Ashot Kukhi's death. The same source states that Gurgen died on the 14th of February 914 CE (Sumbat Davitis Dze 2008, 368). As Anri Bogveradze points out, it can be assumed that after Gurgen's death Sumbat, son of Adarnase II was assigned as Prince of Princes. During the writing of the *Vita of Grigol Khandzteli*, that is, in 951 CE Sumbat possessed the title of Prince of Princes (Merchule 1963, 316). Furthermore, it is worthwhile to note that within the Bagrationi house different persons never held one and the same title at a time that must have been one of the signs of their collective governance (Bogveradze 1993, 22, 32).

Taking into account the floruit of Prince of Princes Bagrat, son of Adarnase III Kourapalates, we can date Ezra's activities in the Ancha eparchy back to the 960s CE.

References

Batonishvili 1973: V. Batonishvili. "The Description of the Kingdom of Georgia" (issued by S. Kaukhchishvili), The Georgian Chronicles (Kartlis Tskhovreba). 4th Vol. Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 1973. (In Georgian)

Bogveradze 1970: A. Bogveradze. "One Chronological Support of the Vita of Grigol Khandzteli (Ashot I the Great Kouropalates)", Digest - Historical Aspects of Feudal Georgia, Book I. Tbilisi. (In Georgian)

Bogveradze 1970: A. Bogveradze. "On the Issue of the Title of Several Bagrationis Owning Tao-Klarjeti", Georgian Academy of Sciences Bulletin (Series of History, Archeology, Ethnography and Art History). N3-4. Tbilisi, 1993. (In Georgian)

Dolidze 1970: I. Dolidze. Georgian Legal Monuments, 3rd Vol.: Ecclesiastical Lesiglative Monuments (11th-19 th centuries). Tbilisi: Metsniereba. (In Georgian)

Takaishvili 1920: Ek. Takaishvili. Regulations of the Royal Court (Khelmtipis Karis Garigeba). Tbilisi: Tbilisi Unievrsity Press. (In Georgian)

Takaishvili 1960: Ek. Takaishvili. Archeological Expedition in Southern Georgia in 1917. Tbilisi: Georgian SSR Academy of Sciences Press. (In Georgian)

Ingorokva 1954: P. Ingorokva. Giorgi Merchule. Tbilisi: Sabchota Mtserali. (In Georgian)

Kekeilidze 1935: K. Kekelidze. Early Feudal Georgian Literature. Tbilisi. (In Georgian)

Kekelidze 1980: K. Kekelidze. The History of Old Georgian Literature. 1st Vol. Metsniereba. (In Georgian)

Lomouri 1925: T. Lomouri. Facts from Sumbat, Son of Davit, and Giorgi Merchule about the 9th-10th Century Georgian Bagratids. Arali. (In Georgian)

Menabde 1962: L. Menabde. Cradles of Literature in Georgia. 1st Vol., Part 1. Tbilisi. (In Georgian).

Merchule 1963: G. Merchule. "The work and career of the worthy life of our holy and blessed father Grigol the Archimandrite, builder of Khandzta and Shatberdi, and with him the commemoration of many blessed fathers", Monuments of Old Georgian Hagiographic Literature. 1st Vol. Tbilisi: Georgian Academy of Sciences Press. (In Georgian)

Silogava 1999: V. Silogava. Inscriptions from Gareji Multisources (11th-13th centuries). Tbilisi: Intelekti. (In Georgian)

Silogava and Shengelia 2006: V. Silogava and K. Shengelia. Tao-Klarjeti. Tbilisi: University of Caucasus Press. (In Georgian)

Sikharulidze 1976: E. Sikharulidze. "One Fact about Ishaq ibn-Ismail, Emir of Tbilisi", Tbilisi University Papers. 180th Vol. (In Georgian)

Sumbat, Davitis Dze (Son of Davit) 2008: Sumbat Davitis Dze. "The Life and Tales of the Bagratids", The Georgian Chronicles (Kartlis Tskhovreba). Tbilisi: Artanuji. (In Georgian)

Kao-Klarjeti Catalogues 2017: The Catalogue of the Tao-Kalrjeti Historical and Cultural Monuments. Ed. by B. Kudava. Tbilisi. (In Georgian)

Janashia 1936: S. Janashia. The Character of the Rule in Georgia. Tbilisi: Correspondence Pedinstitute Press.

Kaukhchishvili 1952: S. Kaukhchishvili. Georgica. Byzantine Sources on Georgian Writers. 4th Vol., Part 2. Tbilisi: Tbilisi State University Press. (In Georgian)

Javakhishvili 1945: Iv. Javakhishvili. Old Georgian Historical Literature. 1945. (In Georgian)

Japaridze 2014: G. Japaridze. "Tbilisi Emir Ishaq ibn-Isma'il Al-Umavi at-Tiflisi in Eastern Written Sources and Islamic Painting", Historical Digest. 4th Vol. Tbilisi.

Jobadze 2007: V. Jobadze. Georgian Monasteries of the Early Middle Ages in Tao, Karjeti, and Shavsheti. Tbilisi: Tbilisi University Press. (In Georgian)

Jojua 2018: T. Jojua. "Georgian Epigraphic Monuments of Tao-Klarjeti: Merenesi Church Inscription of 945 CE". International Scientific Conference - Georgian Manuscript Heritage. Abstracts. (In Georgian)